

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 5

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N65

28 აპრილი 2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, დავით ხარბეიშვილი, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, შოთა გიორგაძე, გია მატარაძე, რამაზ არველაძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში ლუბა გოგოძე.

სხდომა 16⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2022 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგი.

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლილუაშვილის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნაწილობრივ გამოყენების შესახებ.

მომხს.: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

2. სხვადასხვა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2022 წლის 28 აპრილის ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა გიორგი ივანიაძე, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ალექსანდრე ლილუაშვილის განცხადება. (დანართი N1) საკრებულოს თავმჯდომარე ოჯახური მდგომარეობის გამო, ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას 10 სამუშაო დღით, რაზეც საჭიროა ბიუროს წევრების თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა და თანხმობა მისცეს ალექსანდრე ლილუაშვილს შვებულების ნაწილობრივი გამოყენების თაობაზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე